ჭეშმარიტად, თქვენს შორის საუკეთესო ის არის, ვისაც საუკეთესო ზნეობა აქვს

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან(ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უხამსი არ ყოფილა და არც არასდროს წარმოუთქვამს უხამსი სიტყვები, ის ამბობდა: «ჭეშმარიტად, თქვენს შორის საუკეთესო ის არის, ვისაც საუკეთესო ზნეობა აქვს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობიდან არ ყოფილა ცუდი სიტყვების თქმა, ან ცუდი ქმედებების ჩადენა. მას არასდროს არ ჰქონია მსგავსი განზრახვა და არც შეგნებულად ჩაუდენია. ის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იყო საუკეთესო ზნეობის მქონე. შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: ჭეშმარიტად თქვენს შორის საუკეთესო ალლაჰის წინაშე არის ის, ვისაც საუკეთესო ზნეობა აქვს, აკეთებს სიკეთეს, აქვს კეთილგანწყობილი და მეგობრული გამომეტყველება, თავს იკავებს ზიანის მიყენებისგან, მოთმინებით იტანს სხვებისგან მიღებულ ზიანს და ადამიანებთან ურთიერთობს საუკეთესო ფორმით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5803

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee